

SERMON ON THE FEAST DAY OF ST. LUKE THE EVANGELIST (October 18th)
(For Sunday 13.10.2019)

წმინდა ლუკა მახარებლის ხსენების დღის ქადაგება
(18 ოქტომბერი) (13.10.2019 კვირა დღის საკითხავი)

18 ოქტომბერს ჩვენი ეკლესია აღნიშნავს განსაკუთრებული წმინდანის - ლუკა მახარებლის ხსენების დღეს. ის იყო ბერძენი სირიის ქალაქ ანტიოქიიდან (დღევანდელი ანტაკია). აქ, ამ ქალაქში, რომელიც განთქმული იყო მეცნიერების, ფილოსოფიისა და განათლების განვითარებით, მან შეისწავლა მედიცინა. იგი არ ილტვოდა ამ ქვეყნიური დიდებისთვის როგორც ექიმი-პრაქტიკანტი. იგი მიიზიდა მოციქული პავლეს ქრისტიანულმა ქადაგებებმა. როდესაც დიდი მოციქული გაემგზავრა თავის მეორე სამოციქულო ქადაგებებისთვის ტროადან მაკედონიაში, იქ მყოფი წმინდა ლუკა მას თან გაჰყვა. იმ დროიდან ის პავლე მოციქულის თანამგზავრი გახდა. წმ. მოციქული აძლევდა მას სხვადასხვა დავალებებს ქადაგებისა და ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისათვის სხვადასხვა ქვეყნებში, რასაც წმ. ლუკა წარმატებით ასრულებდა. ის ქადაგებდა წმ. სახარებას იტალიაში, საფრანგეთში, ლიბიაში,

ეგვიპტეში, დალმაციაში, აჰაიაში, ვიოტიაში, საბერძნეთში (სადაც მდებარეობს მისი საფლავი). წმ. ლუკას სურდა ყოფილიყო წმ. პავლეს გვერდით და ემსახურა მისთვის როგორც ეჭიმს, დახმარებოდა მოციქულს სხვადასხვა ავადმყოფობის დროს და ყოფილიყო მის გვერდით რთულ ცხოვრებისეულ მომენტებში. ასეთი თვითგანწირვის სულით ანთებულმა, წმ. ლუკამ ისურვა თან ხლებოდა წმ. პავლეს, როცა პალესტინაში რომაელმა მეომრებმა დაიჭირეს, რათა მიეყვანათ რომში კეისრის სასამართლოზე.

წმ. ლუკა იზიარებდა წმ. პავლეს სიძნელეებს, მან მოციქულთან ერთად გადაიტანა საშინელი ქარიშხალი როდესაც მიცურავდნენ კრეტადან სამხრეთისკენ, რომელმაც გამოიწვია გემის ჩაძირვა კუნძულ მალტასთან. მათ დატოვეს გემი და ცურვით მიაღწეს ნაპირს. პავლე მოციქულის რომში მეორე პატიმრობის დროს ლუკამ დიდი თანადგომა გამოხატა მოციქულის მიმართ. მადლიერებით პავლე მოციქული წერდა ტიმოთეს: „მარტო ლუკაა ჩემთან“ (ტიმოთ. მიმართ მეორე 4:11). იმ დროს ბევრმა თანამძრახველმა მიატოვა მოციქული პავლე, წმ. ლუკა რჩებოდა მის გვერდით მის გასამართლებამდე და მხილველი იყო მოციქულის

მოწამებრივი სიკვდილისა. მოგვიანებით წმ. ლუკამ თავი მიუძღვნა მისიონერულ შრომას და აგრძელებდა მას, სანამ არ გახდა 84 წლის. მას მხატვრული ნიჭიც ჰქონდა. გადმოცემის თანახმად წმ. ლუკა ხვდებოდა ღვთისმშობელს და დაწერა პირველი ხატები წმ. ქალწულისა. ერთ-ერთი არის ღვთისმშობლის ხატი, მდებარე კიპრზე კიკორის მონასტერში. ამ ხატის ასლი ინახება ანტალიაში.

ჩვენ მადლიერები ვართ წმ. ლუკა მახარებლისა, იმიტომ რომ მან ერთმა შეკრიბა ინფორმაცია წმ. ღვთისმშობელზე, მოციქულებზე და იესოს ცხოვრებაზე, რომლებიც არ მოიხსენება სხვა სამ სახარებაში. გარდა ამისა მან ჩაიწერა წმ. მოციქულების შრომები, რომლებიც განცალკევებით მცხოვრებ ხალხში იყო გავრცელებული. ყველაფერი ეს მოთხრობილია მესამე სახარებაში, რომელიც წმ. ლუკას სახელს ატარებს და „სამოციქულო საქმეებში“ მის გაგრძელებაში. მან თავისი ცხოვრება დაიწყო როგორც კერპთაყვანისმცემელმა, მაგრამ როდესაც ჭეშმარიტი ღმერთი, იესო-ქრისტე შეიცნო- „მფარველი და განმკურნებელი ყველასი“, მისი ცხოვრება შეიცვალა. თავის ცხოვრებაში მას სურდა ქრისტესთვის მიებაძა და მიატოვა ექიმის კარიერა, მთლიანად მიუძღვნა თავი ქრისტეს და მის სიტყვას.

ამავდროულად ის ასრულებდა ექიმის მოვალეობას, წმ. პავლეს რომ დახმარებოდა. ვინ იცის გადაიტანდა კი წმ.

მოციქული ცემისგან მიღებულ ჭრილობებს, ქვით ჩაქოლვას და ხშირ ავადმყოფობებს! აი რატომ უწოდებს წმ. პავლე მას: „ლოუკა, მკურნალი საყუარელი“

(კორასელთა4:14).

ჩემო ძვირფასო ძმებო და დებო, ლუკა მოციქულის დღესასწაულის აღსანიშნავად ვიყოთ მადლობელნი მისი, წმინდა სახარებისა და სამოციქულო საქმეების გამო, წმ. წიგნებისა, რომლებიც ბიბლიაშია შეტანილი. ყველამ ერთად ყურადღებით შევისწავლოთ ის, რომ ზუსტად გავიგოთ ქრისტეს და მისი მოციქულების ცხოვრება, საქმეები და სწავლებანი და წმ. ეკლესიის სულიერი ზრდა. მოდით ლოცვით ვთხოვოთ მას: ჰე, ლუკა, ქრისტეს მოციქულო, რწმენის დოგმატების ავტორო, ეკლესიის მებრძოლო. შენ, წყვდიადში მყოფთა მომქცეველო, ჭეშმარიტი ღმერთის სიღრმისეულო ამომცნობო და ქარიშხლისაგან დამცველო... შესთხოვე მხსნელსა და უფალ ქრისტეს მოგვმადლოს ჩვენ მშვიდობა, სულიერი ცხოვრება, შთაგონება, განმანათლებლობა და თავისი მადლი.

ამინ!